



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

# უსაფრთხოების მიმოხილვა

დავით ნატროშვილი

ომი უკრაინაში და გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხე

2022

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის  
ფონდი 2022

## შესავალი

უკრაინაში რუსეთის შეჭრამ გააღრმავა მსოფლიოში არსებული სასურსათო კრიზისი და დამატებით მილიონობით ადამიანს შეუქმნა შიმშილის საფრთხე. ეს გამოიწვია იმან, რომ უკრაინა და რუსეთი მსოფლიოში ხორბლის და, ზოგადად, მარცვლეული კულტურის უმსხვილესი ექსპორტიორები არიან და რადგან უკრაინული ხორბლის ექსპორტი პრაქტიკულად შეწყვეტილია, ხოლო რუსეთი საკუთარი ხორბლის მარაგებს დასავლეთზე ზეწოლის იარაღად იყენებს, მსოფლიო ბაზარზე ხორბლის დეფიციტია და ფასიც რეკორდულად გაიზარდა.

სასურსათო კრიზისს, ჰუმანიტარულის გარდა, პოლიტიკური განზომილებაც აქვს - არ არის გამორიცხული, რომ 2008 და 2011 წლების მსგავსად, საკვებ პროდუქტებზე ფასების მატება ცალკეულ ქვეყნებსა თუ რეგიონებში პოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზეზი გახდეს (Harvey, 2022).

დასავლეთის მცდელობას, აღადგინოს ბაზრისთვის უკრაინული და რუსული ხორბლის მიწოდება, ჯერჯერობით შედეგი არ აქვს. მოსალოდნელი კრიზისის ფონზე, იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სასურსათო მარაგების მოცულობასთან და ადგილობრივ მოსავლიანობასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა ამ მხრივ გამოწვევას მარცვლეულსა და სასუქებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა და გაზრდილი ფასები წარმოადგენს, რაც იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებას სერიოზული რისკების წინაშე აყენებს. ამავ დროს, მოსალოდნელი სასურსათო კრიზისი ცალკეულ სახელმწიფოებს მსოფლიოში საკუთარი გავლენის გაზრდის შესაძლებლობად შეიძლება ექცეთ.

## მსოფლიოს სასურსათო კრიზისი: ფაქტორები და პროგნოზები

მსოფლიოში სასურსათო კრიზისი ბოლო 2 წელია ღრმავდება და სულ უფრო მეტ ადამიანს უქმნის საარსებო პრობლემებს. კრიზისს ერთი კონკრეტული მიზეზი არ აქვს - ის სხვადასხვა ფაქტორის ერთობლიობით არის გამოწვეული. თუმცა მათ შორის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებენ პროდუქტების ხელმისაწვდომობაზე, ფასების ზრდასა და მოსავლიანობაზე და, აქედან გამომდინარე, სასურსათო კრიზისის წარმოქმნაზე. ეს ფაქტორებია: კონფლიქტები, ეკონომიკური შოკები და უამინდობა (FAO, IFPRI, WFP 2022, 22-23).

ამ ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, უკრაინაში ომის დაწყებამდე „სასურსათო კრიზისის შესახებ გლობალური ანგარიში 2022-ის“ შეფასებით, მსოფლიოში უკვე 193 მილიონ ადამიანს ჰქონდა სასურსათო კრიზისი. მათი საცხოვრებელი არეალი მოიცავდა აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის 53 ქვეყანას (FAO, IFPRI, WFP 2022,

22). ამ ქვეყნების უმეტესობა ხასიათდება ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით და იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ საკვები პროდუქტების და, განსაკუთრებით, ხორბლის მსოფლიო ბაზარზე, რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ნეგატიური ცვლილებები სასურსათო უსაფრთხოების კუთხით იქ არსებულ არასახარბიელო ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის შეფასებით, ომის შედეგად, სასურსათო კრიზისში 2022-2023 წელს დამატებით შესაძლოა 11-დან 19 მილიონამდე ადამიანი აღმოჩნდეს (La Tribune, 2022).

### **რუსეთ-უკრაინის ომის ეფექტი**

ნეგატიური შედეგები, რომელიც მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოებისთვის უკრაინაში რუსეთის შეჭრას შეიძლება მოჰყვეს, ომის დაწყებიდან მალევე მოექცა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ომამდე უკრაინა და რუსეთი მსოფლიო ბაზარს ხორბლის 33%-ს, ბურღულეულის 27%-ს, სიმინდის 17%-ს, მზესუმზირას მარცვლის 24%-ს და მზესუმზირას ზეთის 73%-ს აწოდებდნენ. აღნიშნული პროდუქტების იმპორტით სარგებლობდა სასურსათო კრიზისის პირას მყოფი არაერთი ქვეყანა. მაგალითად, 2020 წელს უკრაინული ხორბლის და სიმინდის ექსპორტის 34%, ხოლო რუსული ხორბლის ექსპორტის 73% სწორედ ამ ტიპის სახელმწიფოებზე მოდიოდა. სასურსათო კრიზისის პირას მყოფი ქვეყნებიდან რუსული და უკრაინული ხორბლის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები იყვნენ იემენი, სუდანი, ნიგერია და ეთიოპია, რომლებიც ყველაზე მოწყვლადი სახელმწიფოების ჯგუფს განეკუთვნებიან (FAO, IFPRI, WFP 2022, 29).

კიდევ ერთი პროდუქტი, რომელსაც მსოფლიოს სასურსათო კრიზისზე გავლენის მოხდენა შეუძლია, არის სასუქი. მსოფლიოში სასუქის უმსხვილესი მიმწოდებელი რუსეთის ფედერაციაა, რომლის ექსპორტი ამჟამად, პრაქტიკულად, შეწყვეტილია. სასუქის ექსპორტი პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოს არაერთ რეგიონში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობას. რუსულ სასუქზე განსაკუთრებით არიან დამოკიდებული ჰონდურასი, კამერუნი, ვატიმალა, სიერა-ლეონე, ნიგერია, მოზამბიკი და კენია (FAO, IFPRI, WFP 2022, 29). სასუქზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ნიშნავს, რომ რუსეთზე დამოკიდებულ ქვეყნებში 2022 წელს დაბალი მოსავლიანობა იქნება და მარცვლეულის მსოფლიო ბაზარზე შექმნილი კრიზისით გამოწვეული სამომხმარებლო დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება.

### **რატომ ვერ ხდება ხორბლის და სასუქების ექსპორტი**

უკრაინული ხორბლის ექსპორტის 90% ხორციელდება ოდესის, ხერსონის და მარიუპოლის პორტებით, რომლებიც ამჟამად რუსეთს აქვს ოკუპირებული ან

ბლოკირებული. შესაბამისად, უკრაინა ვერ ახორციელებს ხორბლის მარაგების ექსპორტს. უკრაინიდან ხორბლის სახმელეთო გზით გატანის მცდელობა ჯერჯერობით უშედეგოა და ის მცირე მარაგები, რომელიც რუმინეთის ქალაქ კონსტანცას პორტით მსოფლიო ბაზარზე გადის, საერთო სურათს ვერ ცვლის.<sup>1</sup>

ექსპორტის ბლოკირების გარდა, რუსეთი უკრაინაში ხორბლის მარაგებს იტაცებს და ანადგურებს. უკრაინის ოფიციალურმა პირებმა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა ოკუპირებული უკრაინიდან ხორბლის მოპარვაში რუსეთი უკვე არაერთხელ დაადანაშაულეს. მაგალითად, ივნისის დასაწყისში უკრაინის სოფლის მეურნეობის საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა დენის მარჩუკმა განაცხადა, რომ რუსმა ოკუპანტებმა აღმოსავლეთ უკრაინიდან სევასტოპოლის მიმართულებით 600 ათასი ტონა ხორბალი გადაზიდეს, რომელიც შემდეგ სატვირთო გემებით ახლო აღმოსავლეთში გაიტანეს (Kottasová, 2022). ამ განცხადებამდე ცოტა ხნით ადრე საერთაშორისო პრესაში გავრცელდა „Maxar Technologies“-ის მიერ გადაღებული სატელიტური სურათები, რომლებზეც ნათლად ჩანს სევასტოპოლის პორტში რუსული გემების ხორბლით დატვირთვის და შემდეგ იმავე გემების სირიის სანაპიროებთან გადმოტვირთვის ფაქტები (Marquardt and Lister, 2022). სატელიტური ფოტოებით ასევე დასტურდება აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული მარაგების დაბომბვის და ფიზიკური განადგურების ფაქტები, რაც აჩენს ვარაუდს, რომ ოკუპირებულ უკრაინაში რუსეთი ხელოვნურად ცდილობს შიმშილის გამოწვევას (Kottasová, 2022).

უკრაინული ხორბლის ექსპორტის მიმართულებით ჩადენილი დესტრუქციული ქმედებების პარალელურად (პორტების ბლოკადა, მარაგების მითვისება ან მათი ფიზიკური განადგურება), რუსეთი ასევე ზღუდავს საკუთარი ხორბლის და სასუქების მიწოდებას მსოფლიო ბაზარზე, რასაც ის დასავლეთის მხრიდან მისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციებით და შიდა ბაზრის საჭიროებებით ხსნის. საერთაშორისო ბაზარზე ზეწოლის გაძლიერების მიზნით 14 მარტს რუსეთის მთავრობამ ოფიციალურად აკრძალა რუსეთიდან ხორბლის ექსპორტი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში (ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი). ეს ნაბიჯი მან შიდა ბაზარზე ფასების მატების პრევენციით ახსნა. თუმცა, სინამდვილეში, შეაჩერა შუამავალი ქვეყნების გავლით რუსული ხორბლის მსოფლიო ბაზარზე მოხვედრის

---

<sup>1</sup> ხორბლის სახმელეთო გზით ექსპორტის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი საფრანგეთია. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვან ლოჯისტიკურ პრობლემას ვაწყდებით, როგორც არის უკრაინის და ევროკავშირის წევრი ქვეყნების სარკინიგზო ხაზების შეუსაბამობა, რაც ლიანდაგების სიგანეებს შორის არსებულ განსხვავებაში ვლინდება. ხორბლით დატვირთული უკრაინული სარკინიგზო შემადგენლობა ვერ შეძლებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გადასვლას და საჭირო იქნება საზღვარზე გადამტვირთავი პუნქტების შექმნა, რაც დიდი მოცულობით ხორბლის შემთხვევაში მოუქნელ და დროში გაწეილ გზას წარმოადგენს.

შესაძლებლობა. ნიშანდობლივია, რომ რუსეთიდან ხორბლის ექსპორტის აკრძალვა არ შეხებია ბელარუსს და რუსეთის მიერ აღიარებულ აფხაზეთს, „სამხრეთ ოსეთს“, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებს (Зуенко, 2022).

მთლიანობაში, რუსეთის ქმედებები მარცვლეულის და სასუქების მსოფლიო ბაზარზე ხელოვნური დეფიციტის შექმნას ემსახურება, რაც გლობალური სასურსათო უსაფრთხოებისთვის დიდი გამოწვევაა, რუსეთისთვის კი - დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის საშუალება.

### **დასავლეთის რეაქცია**

დასავლეთი რუსეთის ქმედებას დანარჩენი მსოფლიოს შანტაჟის მცდელობად აღიქვამს და აქტიურად ცდილობს მოძებნოს მსოფლიო ბაზარზე უკრაინული ხორბლის გატანის ალტერნატიული გზები. პარალელურად ის აგრძელებს დიპლომატიურ ზეწოლას მოსკოვზე და მოუწოდებს მას მოხსნას უკრაინული პორტების ბლოკადა, შეწყვიტოს უკრაინული ხორბლის მარაგების განადგურება და აღადგინოს საკუთარი ხორბლისა და სასუქების ექსპორტი (European Council, 2022).

დასავლეთის ლიდერებმა მსოფლიოს სასურსათო უსაფრთხოების საკითხი განიხილეს დიდი შვიდეულის ქვეყნების სამიტზე, რომელიც 26-28 ივნისს გერმანიაში, ელმაუს სასახლეში გაიმართა. დადგენილებაში, რომელიც სასურსათო უსაფრთხოებას ეხება, დასავლეთის ლიდერებმა რუსეთის ქმედება შეაფასეს, როგორც „გეოპოლიტიკურად მოტივირებული შეტევა გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაზე“ და ამ შეტევის ნეგატიურ შედეგებთან გამკლავების მიზნით „სასურსათო უსაფრთხოების გლობალური ალიანსის“ შექმნა გამოაცხადეს (G7 2022, 1). ალიანსის მიზანია გააერთიანოს სასურსათო უსაფრთხოების სფეროში მსოფლიოში არსებული ყველა მნიშვნელოვანი აქტორი, გამოყოს ფინანსური რესურსები მოწყვლადი ქვეყნების დასახმარებლად, გაზარდოს დიპლომატიური ზეწოლა რუსეთზე, ხელი შეუწყოს რისკის შემცველ რეგიონებში მარცვლეული კულტურის მოსავლიანობის ზრდას, უზრუნველყოს სასურსათო ბაზრების ღიაობა და შეზღუდვების გარეშე ფუნქციონირება და სხვ. (G7 2022, 2-3)

27 ივნისს ასევე ცნობილი გახდა, რომ დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო მუშაობა ტექნოლოგიაზე, რომელიც დნმ-ის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელს გახდის უკრაინიდან მოპარული ხორბლის ამოცნობას, რათა ხელი შეუშალოს რუსეთს მის კომერციალიზაციაში (რადიო თავისუფლება, 2022).

### **რუსეთის პასუხი**

უკრაინიდან ხორბლის ექსპორტის შეფერხებაში რუსეთი, თავის მხრივ, დასავლეთს ადანაშაულებს და ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების თვალში პასუხისმგებლობა მთლიანად მას დააკისროს, ხოლო საკუთარი პოზიცია და საკითხისადმი დამოკიდებულება კონსტრუქციულად წარმოაჩინოს. მაგალითად, 5 ივნისს სატელევიზიო გამოსვლაში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ვრცლად შეეხო ხორბლის ექსპორტის საკითხს და მსოფლიო ბაზარზე შექმნილი კრიზისული სიტუაცია ბოლო წლებში გაუარესებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს და დასავლეთის არაგონივრულ პოლიტიკას დაუკავშირა. უკრაინული ხორბლის ექსპორტის შეწყვეტაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად დასავლეთის ქვეყნებს დააკისრა და უკრაინიდან ხორბლის გატანის ერთ-ერთ საშუალებად მათ რუსეთის მიერ კონტროლირებადი ბერდიანსკის და მარიუპოლის პორტების გამოყენება შესთავაზა (Латухина, 2022).

23 ივნისს BRICS-ის ქვეყნების სამიტზე პუტინი კვლავ შეეხო ხორბლის თემას და განაცხადა, რომ რუსეთი არ ზღუდავდა უკრაინული ხორბლის ექსპორტს და მზად იყო უზრუნველყო ხორბლით დატვირთული გემების უსაფრთხოდ გასვლა საერთაშორისო წყლებში, თუ უკრაინა თავის თავზე აიღებდა ოდესის პორტის მისადგომების განაღმვას (RBC, 2022).

8 ივლისს ეს საკითხი განაგრძო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა დიდი ოცეულის სამიტზე, სადაც მან განაცხადა, რომ რუსეთი თურქეთთან ერთად მზად იყო საკუთარ თავზე აეღო ხორბლით დატვირთული გემების ხმელთაშუა ზღვაში გასვლა იმ შემთხვევაში, თუ უკრაინა, თავის მხრივ, განაღმავდა საკუთარ მისადგომებს ან უზრუნველყოფდა გემების უსაფრთხოდ გასვლას უკრაინის ტერიტორიული წყლიდან (Vusala, 2022).<sup>2</sup>

### **როგორ რეაგირებს დანარჩენი მსოფლიო მოსალოდნელ კრიზისზე**

2021 წელს იმპორტირებული ხორბლის რაოდენობის მიხედვით, მსოფლიოს ხუთეულში შედიოდნენ: ინდონეზია, ნიგერია, ჩინეთი, თურქეთი, ეგვიპტე (Workman, 2022). ამ ქვეყნებზე ხორბლის მსოფლიო იმპორტის დაახლოებით 25% მოდიოდა. ინდონეზიის, ნიგერიის, თურქეთის და ეგვიპტისათვის უკრაინა და რუსეთი

---

<sup>2</sup> საინტერესოა თურქეთის, როგორც შუამავლის, როლი უკრაინული ხორბლის ექსპორტის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებში. 13 ივლისს ცნობილი გახდა, რომ სტამბოლში გაიმართა უკრაინის, რუსეთის, თურქეთის და გაეროს წარმომადგენლების შეხვედრა, რა დროსაც გადაწყდა, რომ სტამბოლში გაიხსნება საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც შავ ზღვაში სატვირთო გემების უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

ხორბლის ყველაზე მსხვილ მიმწოდებელთა შორის იყვნენ.<sup>3</sup> შესაბამისად, რუსეთ-უკრაინის ომი ამ ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. მათ უნდა შეძლონ ხორბლის ახალი ბაზრების მოძიება და სასუქის იმპორტი, რათა შეინარჩუნონ ადგილობრივი მოსავლიანობის ნაყოფიერება.

შექმნილ ვითარებაში ჩინეთი არის ის სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მარცვლეულის მსოფლიო ბაზარზე. ჩინეთი ფლობს მსოფლიოში არსებული ხორბლის მარაგების ნახევარს. 2014-2019 წლებში ჩინეთმა საკუთარი მარაგების მოცულობა გააორმაგა და 76 მილიონი ტონიდან 150 მილიონ ტონამდე გაზარდა (Fickling 2022). აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის შეფასებით, ჩინეთში დღეს არსებული ხორბლის მარაგი 142 მილიონ ტონას შეადგენს, რაც მსოფლიო მარაგების 51%-ია და ეს ჩინეთს საშუალებას აძლევს 18 თვის მანძილზე ავტონომიურად გამოკვებოს საკუთარი მოსახლეობა (McMillan, 2022). თუმცა გამოიყენებს თუ არა ჩინეთი თავის მარაგებს იმისთვის, რომ შეავსოს მსოფლიო ბაზარზე რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული დეფიციტი, რთული სათქმელია. პეკინს შეუძლია ცალკეული ქვეყნების და რეგიონების მიმართ არსებული გეოპოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ცვალოს მიდგომები. გეოპოლიტიკური ინტერესების გარდა, პეკინის არჩევანი შეიძლება ასევე განაპირობოს ჩინეთში მარცვლეულის ცუდმა მოსავალმა, რის პროგნოზსაც აკეთებენ სპეციალისტები. ჩინეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადების თანახმად, 2021 წელს მომხდარი წყალდიდობების გამო საკვების წარმოების კუთხით წელს ჩინეთი დიდ სირთულეებს აწყდება (Liu, and Kan 2022). ამ სცენარის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ ჩინეთს საკუთარი მარაგები ქვეყნის შიდა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დასჭირდეს და, აქედან გამომდინარე, ნაკლებად იფიქროს მის ექსპორტზე.

### **დასკვნის მაგიერ: კრიზისის შესაძლო გავლენა საქართველოზე**

რა რისკებს შეიცავს ხორბლის ბაზარზე განვითარებული მოვლენები საქართველოს სასურსათო უსაფრთხოებისთვის? საქართველო ქვეყნების იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც ხორბლის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდებიან. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2021 წელს ხორბლის სასურსათო მოხმარება 624 ათას ტონას შეადგენდა. აქედან ადგილობრივი წარმოების იყო მხოლოდ 136 ათასი ტონა ხორბალი (თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი - 21.7%), ხოლო დარჩენილი საჭიროება იმპორტის გზით ივსებოდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). ხორბლის იმპორტის 92.1%

<sup>3</sup> თურქეთმა გასულ წელს რუსეთისგან 1.9 მილიარდი დოლარის ღირებულების (I მიმწოდებელი), ხოლო უკრაინისგან 471.4 მილიონი დოლარის ღირებულების ხორბალი შეიძინა (II მიმწოდებელი). ასევე, 2020 წელს ევკიპტის ხორბლის იმპორტის 50% სწორედ რუსეთსა და უკრაინაზე მოდიოდა.



რუსეთიდან განხორციელდა (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2022, 3). ნიშანდობლივია, რომ გასულ წელს რუსეთის ხელისუფლების მიერ ხორბალზე საბაჟო გადასახადის დაწესებამ საქართველოში გააჩინა ფქვილის იმპორტის ზრდის ტენდენცია, რომელმაც ნელ-ნელა ჩაანაცვლა ხორბლის იმპორტი და აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ხორბლის მარაგებიც შემცირდა. 2022 წლის პირველ კვარტალში ხორბლის იმპორტმა ქვეყანაში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად იკლო, ხოლო ფქვილის იმპორტი კი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ფქვილი ხორბალთან შედარებით მაღალუქებადი პროდუქტია, ამიტომ ქვეყანაში მასზე დაყრდნობით სტრატეგიული მარაგები ვერ შეიქმნება, რაც სასურსათო უსაფრთხოებისთვის გამოწვევაა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ 2022 წლის პირველ კვარტალში ფქვილის იმპორტის 99.1% რუსეთიდან განხორციელდა, რაც იმას მიანიშნებს, რომ საქართველოს ხორბალსა და ფქვილზე მოთხოვნა მხოლოდ ერთ მომწოდებელზე - რუსეთის ფედერაციაზე არის დამოკიდებული (საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 2022, 3).

აქედან გამომდინარე, იკვეთება ის ფაქტორები, რომლებიც ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევებს წარმოადგენს. კერძოდ:

- უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად მსოფლიო ბაზარზე შექმნილი ვითარება, რაც ხასიათდება ხორბალზე დაბალი ხელმისაწვდომობითა და გაზრდილი ფასებით;
- ხორბლით თვითუზრუნველყოფის დაბალი კოეფიციენტი;
- ქვეყანაში ხორბლის მარაგების სიმცირე;
- ხორბლის იმპორტის ჩანაცვლება ფქვილის იმპორტით, რომელიც ქვეყანაში ვერ შექმნის გრძელვადიან სტრატეგიულ მარაგს;
- ხორბლის და ფქვილის იმპორტით რუსეთზე თითქმის 100%-იანი დამოკიდებულება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Abbasova, Vusala. 2022. „Lavrov Voices Russia’s Readiness to Resolve Food Crisis. “ *Caspian News*, July 8, 2022.
2. European Council. 2022. “Special meeting of the European Council (30 and 31 May 2022) – Conclusions.” Brussels, May 31, 2022.  
<https://www.consilium.europa.eu/media/56562/2022-05-30-31-euco-conclusions.pdf>
3. FAO, IFPRI, WFP. 2022. “Global Report on Food Crises 2022.” Rome: FAO.  
<https://www.fao.org/documents/card/en/c/cb9997en/>
4. Fickling, David. 2022. “Ukraine War Gives Egypt a Wheat Crisis Only China Can Solve.” *The Washington Post*, March 14, 2022.  
[https://www.washingtonpost.com/business/ukraine-war-gives-egypt-a-wheat-crisis-only-china-can-solve/2022/03/14/23ebbe82-a3d2-11ec-8628-3da4fa8f8714\\_story.html](https://www.washingtonpost.com/business/ukraine-war-gives-egypt-a-wheat-crisis-only-china-can-solve/2022/03/14/23ebbe82-a3d2-11ec-8628-3da4fa8f8714_story.html)
5. G7. 2022. “G7 Statement on Global Food Security.” Elmau, June 28, 2022.  
<https://www.g7germany.de/resource/blob/974430/2057824/b4c9113bec507f0bd4b0389f6ac15ea7/2022-06-28-statement-on-global-food-security-data.pdf?download=1>
6. Harvey, Fiona. 2022. “Ukraine invasion may lead to worldwide food crisis, warns UN.” *The Guardian*, March 14, 2022.  
<https://www.theguardian.com/world/2022/mar/14/ukraine-invasion-worldwide-food-crisis-warns-un>
7. Kottasová, Ivana. 2022. “Why Russia is being accused of using food as a weapon of war.” *CNN*, June 10, 2022. [https://edition.cnn.com/2022/06/10/europe/food-grain-crisis-ukraine-russia-intl/index.html?fbclid=IwAR382mmWfNmhy510e3Z6i-loiQqDEebqdweJKKCzVaSAbS6Z8CX2JnZ\\_DT\\_w](https://edition.cnn.com/2022/06/10/europe/food-grain-crisis-ukraine-russia-intl/index.html?fbclid=IwAR382mmWfNmhy510e3Z6i-loiQqDEebqdweJKKCzVaSAbS6Z8CX2JnZ_DT_w)
8. La Tribune. 2022. “Crise alimentaire: l'Union européenne accuse la Russie de mettre le monde en danger.” *La Tribune*, June 18, 2022.  
<https://www.latribune.fr/economie/international/crise-alimentaire-l-ue-accuse-la-russie-de-mettre-le-monde-en-danger-922394.html>
9. Liu, John, and Kan, Karoline. 2022. “China Faces Worst Crop Conditions Ever Due to Climate Change.” *Bloomberg*, March 23, 2022.  
<https://www.bloomberg.com/news/articles/2022-03-23/climate-change-threatens-china-s-crop-yield-food-security>
10. Marquardt, Alex, and Lister, Tim. 2022. “Satellite images appear to show Russian ships loading up with Ukrainian grain in Crimea.” *CNN*, May 23, 2022.  
<https://edition.cnn.com/2022/05/23/politics/satellite-images-grain-crimea/index.html>
11. McMillan, D'Arce. 2022. “China’s crop shortfalls a bigger problem than its stockpiles.” *The Western Producer*, April 28, 2022. <https://www.producer.com/markets/chinas-crop-shortfalls-a-bigger-problem-than-its-stockpiles/>

12. Workman, Daniel. 2022. "Wheat Imports by Country." *World's Top Exports*, 2022. <https://www.worldstopexports.com/wheat-imports-by-country/>

რუსულენოვანი:

1. Зуенко, Иван. 2022. "Как запрет экспорта зерна из России может стать частью «войны санкций»." *Forbes*, May 18, 2022. <https://www.forbes.ru/mneniya/459415-kak-zapret-eksporta-zerna-iz-rossii-mozet-stat-cast-u-vojny-sankcij>
2. Латухина, Кира. 2022. "Владимир Путин: Кто на самом деле препятствует экспорту украинской пшеницы." *Российская газета*, June 5, 2022. <https://rg.ru/2022/06/05/zerno-problemy.html>
3. RBC. 2022. "Путин заявил о готовности обеспечить проход судов с зерном с Украины." *RBC*, June 24, 2022. <https://www.rbc.ru/politics/24/06/2022/62b5bc3f9a7947a948ca7b0b>

ქართულენოვანი:

1. რადიო თავისუფლება. 2022. „BBC: სპეციალისტებმა დაიწყეს მუშაობა ტექნოლოგიაზე უკრაინიდან მოპარული ხორბლის ამოსაცნობად.“ 27 ივნისი, 2022. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31916964.html>
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. n.d. "სასურსათო ბალანსები." ნანახია: 26 ივნისი, 2022. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usaftrkxoeba>

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. 2022. "ხორბლის ბაზრის მიმოხილვა." მაისი, 2022. [https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2022/06/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90.pdf?fbclid=IwAR1akGYP\\_HbPV3A-Gu70JzkKwO78l2Y7JwZpPC0tYAkzBHgcadwZ8T7YPns](https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2022/06/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90.pdf?fbclid=IwAR1akGYP_HbPV3A-Gu70JzkKwO78l2Y7JwZpPC0tYAkzBHgcadwZ8T7YPns)